ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 242

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა
(საქონლის შესყიდვა)

ზესტაფონი 27 **დეკემბერი 2016 წელი**

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი გამგებლის ტარიელ თუთარაშვილის სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი/მ ბაქარი კობახიძე (მის: ქ. ზესტაფონი. ჭანტურიას N42 (შემდგომში–მიმწოდებელი) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამეგობის ადმინიტრაციული სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 2016 წლის 26 დეკემბრის N3150–43 და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 21 დეკემბრის N3080–43 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -"ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.6 ,,საქონელი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2 .ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის შესყიდვა კლასიფიკატორის კოდებით: (ცხრილი N1–ის მიხედვით(მონეტარული ზღვრების დაცვით).

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტი – შობა–ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის (40 ოჯახი) საკვები პროდუქტების შესყიდვა ცხრილი N 1 –ის შესაბამისად.

ცხრილი N1

N	დასახელება	განზომილებ	ერთეული ფასი	რაოდენობა	სულ ფასი	კლასიფიკატორის კოდი
1.	ხორცის კონსერვი -0.5 კგ	ცალი	5	160	800	15131000
2	პურის ფქვილი (უმაღლესი)	კგ	1,50	200	300	15612100
3.	კარაქი (500 გრ)	ცალი	5	40	200	1553000
4.	შესქელებული რძე-კოლოფი	ცალი	2	120	240	15511600
5.	ხილის წვენი 100%-1 ლიტრიანი	ცალი	4	65	260	15321000
6.	სულ ჯამი				1800	

შემსყიდველი *მიმწოდებელი*

მუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 1800 (ერთი ათას რვაასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

დ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ე) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად;

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვს შემსრულებელს ნაკლის აღმოფხვრა.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს წერილობითი მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია თან იქონიოს და სასაქონლო ზედნადებთან ერთად წარმოადგინოს მიწოდებული საქონლის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.(სეთიფიკატი)

6.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს უდეფექტო. თუ გამოვლენილი იქნება წუნი (ხარვეზი), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნის (ხარვეზი) აღმოფხვრა (საქონლის ახლით შეცვლა), გამოვლენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი– ქ.ზესტაფონი წერეთლი ქუჩა N11.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 8 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ნაწილისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

8.3. ინსპექტირებას განახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 05 თებერვლის N 43 283 ბრძანებით შექმნილი კომისია.

მუხლი 9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. საქონლის მიწოდების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება წერილობით ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

10.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.

10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

10.3. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიღება–ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ცვლილებ(ებ)ის შეტანა

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ჩაბარდეს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.4. ნებიესმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმოამდგენლების ხელლმოწერებით.

11.5. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

11.6. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 12.. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტა)

12.1.ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0, 1 % ოდენობით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.2.1. ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ა.ბ)პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ა.გ.) მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.3. მიმოწდებელი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30(ოცდაათი)%–ის ოდენობით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2.. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 03 (სამი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 18. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, ხელმოწერები

შემსყიდველი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ტარიელ თუთბერიძე

_____

სს „ლიბერთი ბანკი"

ზესტაფონის ფილიალი

ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა № GE03LB0120177576710000

ს/კოდი:230087045

მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. 11

ტელ 0492 25 26 26

მიმწოდებელი:

ი/მ „ბაქარი კობახიძე"

ბაქარი კობახიძე

_____

ს.ს „ რესპუბლიკა ბანკი "

ბანკის კოდი REPLGE22

ა./ა №GE68BR0000010592781278

პ/ნ:18001068112

მის: ზესტაფონი ჭანტურიას N42

ტელ: 598 51 43 13

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2016 წლის 27 დეკემბერი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 05 თებერვლის №43/283 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ი/მ ,,ბაქარი კობახიძე"–სთან შობა–ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის (40 ოჯახი) საკვები პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით.

ტარიელ თუთარაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

1. ვახტანგ ღამბაშიძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)
2. ბორის ჭიჭინაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
3. ანდრო რობაქიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
4. ზურაბ სირდაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
5. თეიმურაზ ფერაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
6. ერემია სალაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
7. მარინა სუქნიძე (სამუშაო ჯგუფის დროებითი წევრი)

N 3150-43
26/12/2016

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ტარიელ თუთარაშვილს

მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის

განყოფილების უფროსის ბორის ჭიჭინაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ შესასრულებლად დამეწერა სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის წერილი, სოციალური ჯგუფებისათვის სადღესასწაულოდ სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისათვის ერთი ერთეული ტელევიზორის შეძენასთან დაკავშირებით. ჩემს მიერ მოხდა აღნიშნული კვების პროდუქტების (ი/მ ბაქარი კობახიძე, ი/მ ინა მჭედლიძე, ი/მ გიული კიკნაველიძე) და ტელევიზორის (შპს გამა, შპს თელგი, შპს სითბო) მომწოდებელი პირების მონაცემების მოკვლევა. წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ კვების პროდუქტების მოწოდებას მოახდენს ი/მ ,,ბაქარი კობახიძე", ხოლო ტელევიზორის მოწოდებას შპს ,,გამა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ხელშეკრულება თანდართული ინვოისის შესაბამისად კვების პროდუქტების მოწოდებაზე, უნდა გაფორმდეს ი/მ ,,ბაქარი კობახიძესთან", თანხით–1800 ლარი, ხოლო ტელევიზორის შესყიდვაზე შპს ,,გამასთან", თანხით–384 ლარი.

გთხოვთ იურიდიულმა განყოფილებამ მოამზადოს შესაბამისი ხელშეკრულებები.

დანართი: 7 ფურცელზე

ბორის ჭიჭინაძე

განყოფილების უფროსი

N 3080-43
21/12/2016

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოადგილეს ბატონ ვახტანგ ღამბაშიძეს

სოციალური დაცვის სამსახურის
უფროსის მარინა სუქნიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ვახტანგ,

2016 წლის პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს სადღესასწაულო მუხლიდან საჩუქრების/ფინანსური დახმარების გაცემას ოჯახებზე და სოციალურ ჯგუფებზე. სოციალური პროგრამით გათვალისწინებული ფულადი სახსრებისა და მატერიალური საშუალებების განმკარგავმა (გამცემი) მუდმივმოქმედმა კომისიამ გადაწყვიტა შობა–ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საჩუქრების (პროდუქტები) შეძენა 40 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მიერ მოწოდებული სიების საფუძველზე, ასევე კომისიის მიერ გამოვლენილ ჯგუფზე.

–სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ზესტაფონის რაიონული სამსახურისათვის ელექტროტექნიკის (ტელევიზორის) შეძენა.

იმისათვის , რომ შევიძინოთ პროდუქტები:

–მზადი ხორცის კონსერვი–160 ც, ფქვილი 200 კგ, კარაქი ,,ბურიონკა"–40 ცალი(500გრ), შესქელებული რძე– 120 ცალი, ზეთი(1 ლიტრიანი), არაკონცენტრირებული ხილის წვენი 100 %-იანი 80 ლიტრი, –ღირებულება ჯამში 2200 ლარამდე, ტელევიზორი–400 ლარამდე.

ამისათვის გთხოვთ გამგეობის ადმინისტრაციული გაწყოფილების მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის გაწყოფილების უფროსმა ბორის ჭიჭინაძემ უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების ფასების მოკვლევა და შესყიდვა.

მარინა სუქნიძე

სოციალური სამსახურის უფროსი

ინვოისი

26 12 2016წ

ქ.ზესტაფონი

ი/მ –ის (იურიდიული პირის) დასახელება: ი/მ ,,მარინა კობახიძე"

საიდენტიფიკაციო ნომერი: 18001068112

მისამართი: ზესტ [illegible] 42

მომსახურე ბანკი: [illegible]

ბანკის ანგარიში: GE68BR0000010592781278GEL

ტელეფონის ნომერი: 598-514313

№	დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	რაოდენობა	სულ ფასი	შენიშვნა
1	ხორცის კონს.	ც	5	160	800	0-500 გრ
2	შაქარი	კგ	1ლ50თ	200	300	
3	ვაშლი (ქურთული)	ც	5	40	200	1 კგ
4	ზეთი 1ლ	ც	2	120	240	1 ლიტ
5	ხილის წვენი	ც	4	65	260	1 ლიტრი
6						
7						
8						
9					1800 ლარი	
10						
11					(ათას რვასი)	
12						
13						
14						
15						
16						
17						

[illegible] / მ. კობახიძე

საბარათე ანგარიშის რეკვიზიტები (სამეწარმეო საქმიანობისთვის)
DEBIT CARD Account Details (For Commercial Use)

ლარის რეკვიზიტები / FOR TRANSFERS IN GEL

მიმღების დასახელება	ბაქარი კოზახიძე
მიმღების IBAN ანგარიში	GE68BR0000010592781278 GEL
მიმღების ბანკის დასახელება	სს ბანკი რესპუბლიკა
მიმღები ბანკის კოდი	REPLGE22

0#3#4230#249093200#26057#1482742917

ოპერატორი: ნინო არსენაშვილი

ინვოისი

20/12/2016

ქ.ზესტაფონი

ი/მ –ის (იურიდიული პირის) დასახელება: [illegible]

საიდენტიფიკაციო ნომერი: 1500105881

მისამართი: [illegible]

მომსახურე ბანკი: [illegible]

ბანკის ანგარიში: —

ტელეფონის ნომერი: —

№	დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	რაოდენობა	სულ ფასი	შენიშვნა
1	[illegible]	ც	5	160	800	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	1.60	200	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]	40	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	ც	3.5	170	240	15
5						
6	[illegible]	ც	4	65	260	
7						
8						
9					1840	
10						
11						
12						
13						
14						
15						
16						
17						

ი ნ ვ ო ი ს ი

26 12 2016 ქ.ზესტაფონი

ი/მ –ის (იურიდიული პირის) დასახელება: „[illegible]"

საიდენტიფიკაციო ნომერი: 1800042004121

მისამართი: [illegible]

მომსახურე ბანკი: —

ბანკის ანგარიში: —

ტელეფონის ნომერი: —

№	დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	რაოდენობა	სულ ფასი	შენიშვნა
1	[illegible]	[illegible]	5	160	800	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	1,60	200	320	
3	[illegible]	[illegible]	5	40	200	
4	[illegible]	[illegible]	2,50	120	300	
5	[illegible]	[illegible]	4,30	65	279,5	
6						
7						
8					1899,5	
9						
10						
11						
12				[illegible]		
13						
14						
15						
16						
17						